საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე - ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი - თეიმურაზ თოდრია

კომისიის წევრი - თორნიკე ბაქრაძე

საჩივრის ავტორი – გ. რ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.07.2013

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 084/13

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ /სიითი № /

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ბ.-ს ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2013 წლის 10 ივლისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. რ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ბ.ს დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მისი შვილის ინტერესების დასაცავად 2012 წლის სექტემბერში მიმართა ადვოკატ მ. ბ.-ს, საქმე ეხებოდა მსხვერპლით დასრულებულ ავტოსაგზაო შემთხვევას, რომლის ჩადენაშიც მის შვილს ედებოდა ბრალი. მოთხოვნის შესაბამისად ადვოკატს გადაეცა მომსახურების თანხა 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით, თუმცა თანხის გადახდა ოფიციალურად არ დაფიქსირებულა და მათ შორის წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატს გადაცემული ჰქონდა ჟურნალისტის მიერ ალტერნატიული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების ვრცელი ნუსხა მოწმეებისა და ახლადაღმოჩენილი გარემოებების მითითებით, ხოლო მან აღნიშნული სასამართლოს არ წარუდგინა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის სექტემბერში მ. ბ.-ს დახმარება სთხოვა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით, რადგან სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა იყო გაყალბებული. ადვოკატმა განუცხადა, რომ არსებობდა მხოლოდ ერთი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, რომელსაც ამ საქმეზე უკვე ჰქონდა ჩატარებული ექსპერტიზა და დამოუკიდებელი ექსპერტის დასკვნას სასამართლო არ მიიღებდა. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ჩატარებულ ექსპერტიზასთან დაკავშირებით კითხვები ჰქონდა, რასაც ადვოკატმა მის მიერ მომზადებული კითხვებიც დაურთო და ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შეიტანეს. აღნიშნული ექსპერტიზის თანხა 495 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი მან გადაიხადა.

1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ მ. ბ. შეატყობინა, რომ ამჯერად შესაძლებელი იყო დამოუკიდებელი ექსპერტების ჩართვა და იგი იცნობდა ერთ-ერთ ასეთ ექსპერტს, რომლის მომსახურების თანხა 500 (ხუთას) ლარს შეადგენდა. გ. რ.-ს განმარტებით, მას სურდა ექსპერტთან პირადად შეხვედრა, მასალების გადაცემა და გასაუბრება, რაზეც ადვოკატმა განუცხადა, რომ ექსპერტს დაწყებული ჰქონდა საქმის შესწავლა. ამ მიზეზით, საჩივრის ავტორმა მ. ბ.-ს გადასცა აღნიშნული 500 (ხუთასი) ლარი, იმ პირობით, რომ მისი და ექსპერტის შეხვედრა მოხდებოდა მოგვიანებით, რაც ადვოკატმა არ განახორციელა. ერთ-ერთ სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მას ამ თანხის დაბრუნება შესთავაზა, საჩივრის ავტორმა ადვოკატს აუხსნა, რომ მას თანხის დაბრუნება კი არ სურდა, არამედ ექსპერტის ნამუშევრის და ექსპერტიზის დასკვნის ნახვა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი არ იყო საქმეში ჩართული, შესაბამისად, მან მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარებისათვის გადაცემული თანხის დაბრუნება, რაზეც ადვოკატმა განაცხადა, რომ ეს თანხა საქმისთვის გამოიყენა, კერძოდ, მან გარკვეული პირებისათვის შეიძინა 360 (სამას სამოცი) ლარის ღირებულების ალკოჰოლური სასმელი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატს დრო მისცა თანხის დასაბრუნებლად. თანხმობის მიუხედავად, ადვოკატმა თანხა არ დაუბრუნა.

1.6 2018 წლის 16 ოქტომბერს საჩივრის ავტორმა განხილვის კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა მის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები და დააზუსტა, რომ მის მოთხოვნას წარმოადგენს ადვოკატმა დაუბრუნოს ვითომ საქმეში ექსპერტის ჩასართავად გადაცემული თანხა, 500 ლარი.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2013 წლის 02 სექტემბერს. ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორის შვილის საქმეში ჩაერთო 2012 წლის სექტემბერში, საქმის აღძვრიდან ექვსი თვის შემდეგ. ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალების თანახმად, საჩივრის ავტორის შვილისა და მისი ორი ადვოკატის მიერ ბრალდების შემსუბუქების მიზნით მოქმედებები არ იყო განხორციელებული. ასევე, საქმის მასალები მიუთითებდა მის სავარაუდო დამნაშავეობაზე, საჩივრის ავტორის ოჯახი აპელირებდა გამოძიების წარმოებისას არსებულ დარღვევებზე და სჯეროდათ, რომ შვილის უდანაშაულობა დამტკიცდებოდა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2012 წლის სექტემბერში საჩივრის ავტორის შვილის ოჯახი აქტიურად ჩაერთო მსჯავრდებულის საქმის გამოძიებაში. მათი განცხადებით, „მერსედესის“ მარკის ავტომობილმა შემოუგდო დაზარალებული საჩივრის ავტორის შვილის მანქანას, შესაბამისად, იგი უდანაშაულო იყო. საჩივრის ავტორის შვილი აცხადებდა, რომ ინტერნეტით მასალების ნახვის შემდეგ დარწმუნდა საკუთარ უდანაშაულობაში, თუმცა, გამოძიების არც ერთ ეტაპზე მას არ უხსენებია აღნიშნული „მერსედესი“. ეს ვერსია მხოლოდ მ. ბ.-ს საქმეში ჩართვის შემდეგ გახდა გამოძიებისათვის ცნობილი. მტკიცებულებების გარეშე, გამოძიებისათვის ფაქტის დადასტურება ვერ მოხერხდა. საჩივრის ავტორის შვილის ავტომანქანასა და დაზარალებულს შორის ურთიერთშეხებას თავად მსჯავრდებული არ უარყოფს.

2.3 ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნები მან და საჩივრის ავტორმა მიიჩნიეს დაუსაბუთებლად, გადაწყდა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარება. ის საჩივრის ავტორთან ერთად რამდენჯერმე იმყოფებოდა დამოუკიდებელ ექსპერტთან, თუმცა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ მან განაცხადა, რომ ექსპერტიზა გამამართლებელ დასკვნას არ დაწერდა, ასევე აღნიშნა, რომ თუკი საქმეში არ იქნებოდა „მერსედესის“ ავტომობილის არსებობის დამადასტურებელი მტკიცებულება, ექსპერტიზის ჩატარებას აზრი არ ექნებოდა. ამის შემდეგ ადვოკატმა საჩივრის ავტორს ურჩია ექსპერტიზის ჩატარება სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ჩართულიყო მათთვის ობიექტურად განწყობილი ექსპერტი, თუმცა ასეთი ექსპერტის მოძებნა ვერ მოხერხდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ იგი გ. რ.-ს სთხოვდა მას და მის ოჯახს მოემზადებინათ ექსპერტისთვის დასასმელი კითხვები. ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის მიერ მომზადებული კითხვებიდან ბევრი არ იყო საკითხის შესაბამისი, შესაბამისად თავად რამდენიმე კვირის განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა სპეციალისტებთან ერთად კითხვების მომზადებაზე. ადვოკატის განმარტებით,

საბოლოოდ მათ გადაწყვიტეს მიემართათ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროსთვის. ადვოკატი აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორი მას სთხოვდა შეეხვედრებინა ექსპერტები, რაც ვერ მოხერხდა და ამ ფაქტმა მისდამი უნდობლობა და ეჭვი გამოიწვია.

2.4 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორმა მას აუცილებელი ხარჯებისთვის ამ პერიოდში გადასცა 500 (ხუთასი) ლარი, რაც არ წარმოადგენდა ექსპერტისთვის გადასაცემ ჰონორარს, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს. ექსპერტიზის დასკვნით არ გაბათილდა გამოძიების ვერსია, რომ დ. რ. იყო დამნაშავე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული დასკვნით გ. რ. დარჩა უკმაყოფილო და სასამართლო სხდომისას აღნიშნა, რომ ადვოკატისთვის არ უნდა გადაეცა 500 (ხუთასი) ლარი, თუმცა შეთავაზებაზე, რომ თანხას დაუბრუნებდა, უარი განაცხადა. ადვოკატის განცხადებით, ექსპერტიზის პასუხი, მის მიერ წარდგენილი იქნა სასამართლოში, როგორც მტკიცებულება, რადგან დასკვნა არ იყო სრულყოფილად გამართული და შესაძლებელი იყო კითხვების მეშვეობით მისი გაბათილება, თუმცა ამის საშუალება არ მიეცა, რადგან სასამართლო სხდომის დაწყებამდე საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ მასთან წყვეტდა ურთიერთობას და აიყვანა სხვა ადვოკატი. მ. ბ.-ს განცხადებით, რამდენიმე დღეში გ. რ. მას შეხვდა და მოსთხოვა 500 (ხუთასი) ლარის დაბრუნება, რაზეც მან უარი განუცხადა.

2.5 ადვოკატმა 2018 წლის 16 ოქტომბერს განხილვის კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, აღნიშნული 500 (ხუთასს) ლარი ბატონმა გ. რ.-მ თავად მისცა დაჟინებული თხოვნით, რადგან ფიქრობდა, რომ თანხის გადაცემის შემდეგ ადვოკატი უფრო მეტს გააკეთებდა. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ თანხის ნაწილით ერთხელ ისადილა სპეციალისტებთან ერთად, რა დროსაც საუბრობდნენ, თუ როფორი ფორმულირების სჯობდა კითხვების დასმა ექსპერტისათვის. ადვოკატი აცხადებს, რომ გადაცემული თანხა იყო მისი მომსახურების თანხა იმისთვის, რომ კითხვები მოემზადებინა სპეციალისტებთან ერთად. ეს თანხა მან მიიღო მანამდე სანამ საქმეზე ექსპერტიზა დაინიშნებოდა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2014 წლის 19 ივნისს მეორე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატ მ. ბ.-ს არაკვალიფიციურ მომსახურებასთან დაკავშირებით, ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საქმის მასალების თანახმად, ადვოკატის მიერ აღნიშნული ნორმების დარღვევა არ დასტურდება.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოების განხილვის ეტპაზე დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი მ. ბ. არ აწარმოებდა სრულ და ზუსტ ჩანაწერებს კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით და

კლიენტისათვის არ იყო ცნობილი მის მიერ ადვოკატისათვის გადაცემული თანხის მიზნობრიობა, შესაძლოა დარღვეულად ჩათვლილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-12 ნაწილები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 გ. რ.-ს და მ. ბ.-ს შორის საადვოკატო ურთიერთობა დაიწყო 2012 წლის სექტემბრის თვიდან, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს უნდა ეწარმოებინა საჩივრის ავტორის შვილის - დ. რ.-ს სისხლის სამართლის საქმე.
ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გ. რ.-ს საჩივარი;
2. მ. ბ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტება;
3. განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

4.1.2 ადვოკატი დ. რ.-ს ინტერესებს იცავდა 2012 წლის სექტემბრის თვიდან 2013 წლის 01 მარტის სასამართლო პროცესამდე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გ. რ.-ს საჩივარი;
2. მ. ბ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტება;
3. 2013 წლის 01 მარტის სასამართლოს სხდომის ოქმი;
4. განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

4.1.3 ადვოკატ მ. ბ.-ს გ. რ.-საგან გადაეცა საადვოკატო მომსახურების თანხა 500 (ხუთასი) აშშ დოლარის ოდენობით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. გ. რ.-ს საჩივარი;
2. მ. ბ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტება.
3. განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

4.1.4 სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ ამ საქმეზეც ჩატარდა ალტერნატიული კომპლექსური

ავტოტექნიკური, ტრასოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტური ექსპერტიზა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. საჩივრის ავტორის პოზიცია;
2. მ. ბ.-ს წერილობითი ახსნა-განმარტება;
3. განხილვის კოლეგიის 2018 წლის 16 ოქტომბრის სხდომის ოქმი.

4.2 საქმეში წარმოდგენილია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

გ. რ.-მ ადვოკატ მ. ბ.-ს საქმეში სპეციალისტის ჩასართავად, გადასცა სპეციალისტის მომსახურების ღირებულება, 500 (ხუთასი) ლარი.

ეთიკის კომისიამ აღნიშნული გარემოება მიიჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები აქვთ გადაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით.

საჩივრის ავტორის პოზიციით, მან ადვოკატ მ. ბ.-ს 500 (ხუთასი) ლარი გადასცა ალტერნატიული ექსპერტიზის ჩასატარებლად, საქმეში სპეციალისტის/ექსპერტის ჩასართავად. ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს თანხა იყო ამ ექსპერტის ანაზღაურება.

ადვოკატ მ. ბ.-ს პოზიციით, მას აუცილებელი ხარჯებისთვის გ. რ.-მ გადასცა 500 (ხუთასი) ლარი, რაც არ წარმოადგენდა ექსპერტისთვის გადასაცემ ჰონორარს. გადაცემული თანხა იყო მისი მისი სახარჯო თანხა, რომელიც არ იყო ექსპერტის ანაზღაურება, მაგრამ უნდა მოხმარებოდა საქმეზე ექსპერტიზის ჩატარებას.

კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი სადავოდ არ ხდის აღნიშნული 500 ლარის მისთვის გადაცემის ფაქტს, მაგრამ სადავოა ამ თანხის დანიშნულება. როგორც ადვოკატმა საქმის განმხილველ კოლეგიას განუმარტა, მან 500 (ხუთასი) ლარი აიღო, როგორც სახარჯო თანხა და გამოიყენა იმ მიზნით, რომ ექსპერტიზისთვის სპეციალისტებთან, რომლებიც იყვნენ მისი ნაცნობები, კონსულტაციების გავლის შედეგად, შესაბამისი კითხვები დაესვა. მან თანხის ნაწილი გამოიყენა ამ პირების ,,პატივისცემისთვის", რაც გამოიხატა მათ სასადილოდ დაპატიჟებაში.

5. **შემაჯამებელი დასკვნა:**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა პოზიციები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. **სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: ,,ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის“.

6.1.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 ნაწილი: ,,ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილ საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით“.

6.2 ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის სკულპუოზურად, მართებულად წარმოებას.

6.3 ეთიკის კომისიამ 2015 წლის 02 თებერვლის N133/15 გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ კლიენტისათვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაცია. ადვოკატის მიერ ,,სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას.

6.4 კოლეგიის შეფასებით, გ. რ.-მ ადვოკატს გადასცა თანხა 500 ლარი, რომელზეც ჰქონდა ინფორმაცია, რომ ეს იყო ექსპერტიზის ჩასატარებლად საჭირო თანხა, კერძოდ ადვოკატს თანხა უნდა გადაეცა საქმეში ჩართული დამოუკიდებელი ექსპერტისათვის/სპეციალიზტისათვის. საჩივრის ავტორს გადახდილი თანხის მიზნობრივი გამოუყენებლობის შესახებ ეჭვი გაუჩნდა მას შემდეგ, რაც არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, ადვოკატმა მ. ბ.-მ იგი დამოუკიდებელ ექსპერტს არ შეახვედრა. საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელი ექსპერტი არ იყო საქმეში ჩართული, შესაბამისად, საჩივრის ავტორმა მოითხოვა ექსპერტიზის ჩატარებისათვის გადაცემული თანხის დაბრუნება, ადვოკატმა განუმარტა, რომ ეს თანხა საქმისთვის გამოიყენა, შეხვდა ნაცნობ ექსპერტებს, რომლებსაც ამ თანხით ,,პატივი სცა“. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატს დრო მისცა თანხის დასაბრუნებლად, მაგრამ თანხმობის მიუხედავად, ადვოკატმა თანხა არ დაუბრუნა.

6.5 ადვოკატი მ. ბ. ადასტურებს საჩივრის ავტორის მიერ მისთვის აღნიშნული 500 (ხუთასი) ლარის გადაცემის ფაქტს, მაგრამ განმარტავს, რომ ეს იყო კლიენტის საქმესთან დაკავშირებით მისი ყოველდღიური ხარჯების თანხა და არა ექსპერტიზისათვის საჭირო თანხა. ექსპერტიზის დასკვნით არ გაბათილდა გამოძიების ვერსია, რომ დ. რ. იყო დამნაშავე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული დასკვნით გ. რ. დარჩა უკმაყოფილო და სასამართლო სხდომისას აღნიშნა, რომ ადვოკატისთვის არ უნდა გადაეცა 500 (ხუთასი) ლარი, თუმცა შეთავაზებაზე, რომ თანხას დაუბრუნებდა, უარი განაცხადა. მ. ბ.-ს განცხადებით, რამდენიმე დღეში გ. რ. მას შეხვდა და მოსთხოვა 500 (ხუთასი) ლარის დაბრუნება, რაზეც მან უარი განუცხადა.

6.6 კოლეგიის შეფასებით, ადვოკატს პროფესიული რეგულაცია ავალდებულებს, რომ კლიენტს წინასწარ მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რას მოხმარდება კლიენტის მიერ გადახდილი თანხა. მას შემდეგ, რაც კლიენტი ადვოკატს გადასცემს ამ თანხას, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება აწარმოოს ხარჯთაღრიცხვა, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარუდგინოს კლიენტს და გააცნოს, რომელ მოქმედებას მოხმარა კლიენტის მიერ მისთვის გადაცემული თანხა.

6.7 კოლეგია დადგენილად მიიჩნევს, რომ გ. რ.-ს ადვოკატ მ. ბ.-ს წინასწარ არ მიუწოდებია სწორი ინფორმაცია აღნიშნული 500 ლარის მიზნობრიობასთან დაკავშირებით. ასევე, თანხის გამოყენების შემდეგ, ადვოკატმა გ. რ.-ს არ გადასცა ხარჯთაღრიცხვა და კლიენტი არ იყო ინფორმირებული რეალურად რისთვის გადასცა მან ადვოკატს აღნიშნული თანხა.

6.8 კომისიის შეფასებით, იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ კლიენტს წინასწარ მოაწოდა ინფორმაცია თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით და შემდეგ წარუდგინა ანგარიშგება, ეკისრება ადვოკატს. განხილვის კოლეგიამ მხარეთა პოზიციებიდან დადგინა, რომ ადვოკატს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის პერიოდში არ უწარმოებია ხარჯთაღრიცხვა და კლიენტი მის მიერ გადაცემული თანხების მიზნობრივ გამოყენებასთან დაკავშირებით არ ფლობდა ზუსტ და სრულყოფილ ინფორმაციას.

6.9 კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორს ჰქონდა იმის გონივრული მოლოდინი, რომ გადაცემული თანხა მისი შვილის საქმეზე ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას მოხმარდებოდა და არა რესტორანში სადილს, როგორც განხილვის კოლეგიის სხდომაზე განაცხადა ადვოკატმა მ. ბ.-მ. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია ადვოკატ მ. ბ.-ს მიმართავს კერძო სარეკომენდაციო ბარათით, რადგან გადაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით კლიენტისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა და შემდეგ, ხარჯთაღრიცხვის წარუდგენლობა წარმოადგენს ეთიკურ გადაცდომას და ადვოკატ მ. ბ.-ს მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-12 ნაწილით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 და მე-12 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20, 33-ე, 35-ე, 37-ე, 38-ე მუხლებით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N084/13 ადვოკატ მ. ბ.-ს /სიითი N/ დისციპლინური ზემოქმედების ფორმად განესაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.

4. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/